26/01/2026

MES 5 26 0000069007

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 15.01.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 15:50 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.
თამარ ბიბილაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1) ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი:
დოდო კვარაცხელია - დირექტორი;
დალი აბულაძე - დირექტორის მოადგილე;
ეთერ კვარაცხელია - მეთოდისტი;
სოფო კვარაცხელია - მეთოდისტი;
ფატიმა კვარაცხელია - ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის განყოფილების ხელმძღვანელი;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი:
ნანა ქვარცხავა - ბაღის გამგე;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღი:
ინდირა ჯანჯღავა - ბაღის გამგე;
ლეილა შელია - მეთოდისტი;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ჯვარის №5 საბავშვო ბაღი:
მედეა სოსელია - ბაღის გამგე;
მარიამ შეროზია - მუსიკის მასწავლებელი;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხის №3 საბავშვო ბაღი:
რიმა ბოხუა - ბაღის გამგე;
სოფიო სონგულია - მეთოდისტი;

2) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია:
გიორგი კვარაცხელია - მერის მოადგილე;

3) ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო:
თამარ მაისურაძე - დირექტორი;
ლელა ღაღაშვილი - კვების სპეციალისტი;
მაია ბერაია - სასწავლო მიმართულების ხელმძღვანელი;
თამუნა გომელაური - მონიტორინგის ჯგუფის უფროსი;

თელავის მუნიცილაპიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღი:
მაია კონჭოშვილი - ბაღის მენეჯერი;

თელავის მუნიცილაპიტეტის ქ.თელავის №2 ბაგა-ბაღი:
ეკატერინე ადამაშვილი - ბაღის მენეჯერი;

თელავის მუნიცილაპიტეტის ვარდისუბნის ბაგა-ბაღი:
მაია სოზაშვილი - ბაღის მენეჯერი;

თელავის მუნიცილაპიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღი:
ნინო ბოტკოველი - ბაღის მენეჯერი;

4) თელავის მუნიციპალიტეტის მერია:
გიორგი ქართლელიშვილი - მერის მოადგილე;

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი:
კახაბერ ფარცვანია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ლელა ბექაური - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნათია თოთაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარინე გულუა - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღი:
კახაბერ ფარცვანია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ლელა ბექაური - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნათია თოთაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარინე გულუა - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ჯვარის №5 საბავშვო ბაღი:
მარიკა ანდღულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თამარ ლომიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნათია თოთაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარინე გულუა - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხის №3 საბავშვო ბაღი:
მარიკა ანდღულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თამარ ლომიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნათია თოთაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარინე გულუა - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

თელავის მუნიცილაპიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღი:
მაგდა ბარამაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თამარ ანთიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

თელავის მუნიცილაპიტეტის ქ.თელავის №2 ბაგა-ბაღი:
მაგდა ბარამაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თამარ ანთიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

თელავის მუნიცილაპიტეტის ვარდისუბნის ბაგა-ბაღი:
თინათინ თოიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევან ბერუაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

თელავის მუნიცილაპიტეტის იყალთოს ბაგა ბაღი:
თინათინ თოიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევან ბერუაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 15 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში შემავალი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, ქ. წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში შემავალი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, სოფელი საჩინო (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში შემავალი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, ქალაქ ჯვარის №5 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში შემავალი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, ქ. წალენჯიხის №3 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი თელავის მუნიციპალიტეტის ქ. თელავის №2 ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი თელავის მუნიციპალიტეტის ვარდისუბნის ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის დამატებითი შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

1. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო

ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო დასაზუსტებელი საკითხები და რაც სხდომის მიმდინარეობის დროს განიხილებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში შემავალ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 08 და 09 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 42. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 42 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი, 4.4 კომპონენტის შეფასებიდან გამომდინარე, დასკვნის შედგენის ეტაპზე შეფასდა, როგორც ,,არ არის შეესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე და საკითხი დაზუსტდებოდა ზეპირი მოსმენის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქ. წალენჯიხის№4 საბავშვო ბაღის გასაზიარებელ საუკეთესო გამოცდილებად: ,,ფინჯან ყავაზე" მშობლების მიწვევა და მათი ჩართულობით აქტივობების დაგეგმვა, ,,სიკეთის ქისაში" კეთილი საქმეების ,,შეგროვება" და წლის ბოლოს აქტორების წახალისება და ბავშვის სურვილისამებრ საყვარელი ნივთის ,,ჯადოსნურ ყუთში" განათავსება და ნივთთან დაკავშირებით ისტორიის გაზიარება აღნიშნა.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საკითხის განხილვა მეოთხე სტანდარტის 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, მეოთხე სტანდარტის 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით ტექნიკურად იყო გამორჩენილი შესაბამისი ვალდებულების ასახვა. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ფარგლებში, დარგის სპეციალიტის ჩართულობით, 2026 წლის ტენდერი გამოცხადებულია განახლებული მენიუს გათვალისწინებით და უმოკლეს ვადაში, შესაბამისი სერვისის მიწოდება უკვე ახალი მენიუს მიხედვით განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა, ფინანსური უზრუნველყოფის საკითხით, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მხრიდან ვალდებულებების შესრულების ერთწლიან პერიოდზე დაგეგმვასთან დაკავშირებით და სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ სრული მხარდაჭერაა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, სხდომას ესწრება მერის მოადგილე გიორგი კვარაცხელია, რომელიც აქტიურადაა ჩართული დაგეგმის პროცესებში და ერთი წლის განმავლობაში ყველა რეკომენდაცია შესრულებული იქნება. სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილია ზაფხულში.

საბჭოს წევრი თეა ბაქრაძე დაინტერესდა ორკვირიანი პერსპექტიული მენიუს და მიკვლევადობის ფორმების შეუსაბამობის საკითხით, სურსათის დამზადების თარიღთან და პარტიის ნომრების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიელბლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ თემაზე გამოიკვეთა დასაზუსტებელი საკითხები და დეკემბრის თვეში უკვე განხორციელდა შესაბამის პერსონალის გადამზადება ჰასპის პროგრამით.

კვების ექსპერტმა ნათია თოთაძემ დააზუსტა საკითხი და განმარტა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა მიკვლევადობის ფორმის სრულყოფას და მასში ყველა კომპონენტის ასახვას, რაც გამორიცხავს სხვადასხავა დროს გარკვეული კომპონენტის აღრიცხვის გამორჩენას და სრულყოფილს გახდის მიკვლევადობის პროცესს.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ დოკუმენტში უკვე დამატებულია შესაბამის ველი პარტიის ნომრის ან დამზადების თარიღის ასახვის მიზნით.

საბჭოს წევრი ნინო ლაპატყავა დაინტერსდა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის გავლის საკითხით და აღმზრდელ-პედაგოგების თემით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების ფარგლებში, აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსტით უკვე არის დასაქმებული შესაბამისი საგანმანათლებლო პერსონალი. ყველა აღმზრდელ-პედაგოგს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული. ბიუჯეტში გათვალისწინებულია და მიმდინარე ეტაპზე უკვე დაგეგმილია აღმზრდელების და ბაღის გამგეების გადამზადება აღნიშნული ტრენინგ-მოდულით.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერსდა რეფერირების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ რეფერირებაზე პასუხსმგებელ პირად განსაზღვრულია აღმზრდელ-პედაგოგები, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები. ასევე ცენტრის იურისტის მიერ პერიოდულად ტარდება შეხვედრები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი ნინო ლაპარტყავა დაინტერესდა ტრანზიციის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ აღსაზრდელების მიღებამდე იგეგმება ღია კარის დღეები გარემოს გაცნობის მიზნით, აღმზრდელ-პედაგოგები ბავშვებს შესაძლოა სახლშიც ესტუმრონ დაახლოების და მშობლებთან მიჯაჭვულობის დაძლევის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 10:48
დასრულების დრო -10:52

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 42-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 42-ით.

საბჭომ ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 10 დეკემბრისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტის 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის არსებობა და მეოთხე სტანდარის შეფასება ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი რონა პერტია. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო დასაზუსტებელი საკითხები და რაც სხდომის მიმდინარეობის დროს განიხილებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 და 11 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 23. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 23 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი, 4.5 კომპონენტის შეფასებიდან გამომდინარე, დასკვნის შედგენის ეტაპზე შეფასდა, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე და საკითხი დაზუსტდებოდა ზეპირი მოსმენის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღის გასაზიარებელ საუკეთესო გამოცდილებად: ,,საკომპოსტე ყუთის" მეშვეობით ნარჩენებისგან ბუნებრივი სასუქის დამზადების შესაძლებლობა და სოფელში არსებული ბუნებრივი რესურსის - თიხის საძერწ მასალად გამოყენება აღნიშნა.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა, მეოთხე სტანდარტის 4.5 კომპონენტთან დაკავშირებული საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ ეს ნამდვილად იყო ტექნიკური ხარვეზი და ერთწლიანი პერიოდის ფარგლებში, უკვე დაგეგმილია ელექტრო საშრობების შეძენა და განთავსება ყველა საჭირო წერტილში.

საბჭოს წევრი თეა ბაქრაძე დაინტერესდა წყლის უვნებლობის საკითხით და დაწესებულების მზაობით წყლის ხარისხის შეუსაბამობის დროს.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ აქვთ შესაბამისი სოპ-ი, წყლის ხარისხის შეუსაბამობის დროს მოხდება ჩანაცვლება შესყიდული წყლის ან განხორციელდება გადადუღებული წყლით მომარაგება. კონკრეტულ შემთხვევში კი მერიის ჩართულობით მოხდა სართავი ნაგებობის დამუშავება, გაიწმინდა მილები და განახლებული ანალიზის შესაბამისად, უკვე აღდგა წყლის ხარისხი ნორმებთან სრული შესაბამისობით.
საბჭოს წევრმა, მარინე ბაიდაურმა ხელის გასამშრალებელ ელექტრო მოწყობილობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ კოვიდპანდემიის დროს, პრევენციის მიზნით, გაიცა რეკომენდაცია ერთჯერადი გასამშრალებელი საშუალებების უპირატესობაზე და მნიშვნელოვანია შესყიდვის დაგეგმვის დროს აღნიშნული საკითხის გათვალისწინება. თუმცა აკრძალული არ არის ელექტრო გასამშრალებელი საშუალებები.
საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერსდა ბაღის შენობის აშენების პერიოდით და საგანმანათლებლო პერსონალით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ აღნიშნა, რომ ბაღის შენობა აგებულია 2016 წელს. დასაქმებულია ერთი აღმზრდელ-პედაგოგი და ერთი აღმზრდელი. აღმზრდელ-პედაგოგი არის უმაღლესი განათლებით. ორივე პერსონალს გავლილი აქვთ აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:23
დასრულების დრო -11:33

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 23-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო (ნაგურუ) №3 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 23-ით.

საბჭომ ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 10 დეკემბრისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტის 4.5 კომპონენტთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის არსებობა და მეოთხე სტანდარის შეფასება ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". დაწესებულების ვალდებულებების ფარგლებში, ყველა შესაბამის წერტილში იქნება განთავსებული ხელის საშრობი მოწყობილობები.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ჯვარის №5 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნატო შეროზიამ. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით იყო დასაზუსტებელი საკითხები და რაც სხდომის მიმდინარეობის დროს განიხილებოდა.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიკა ანდღულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის№5 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 08 და 09 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი

აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 12. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 12 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიკა ანდღულაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ექსპერტმა მარიკა ანდღულაძემ განმარტა, რომ დასკვნაში, მეოთხე სტანდატის შეფასებასთან დაკავშირებით არის ტექნიკური ხარვეზი, შეფასება 4.3. 4.4 და 4.5 კომპონენტებთან მიმართებით დასკვნაში ასახული უნდა ყოფილიყო ,,მეტწილად შეესაბამება" ნაცვლად ,,არ შეესაბამება", რადგან არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ გაწერილია შესრულების ვალდებულებები ერთწლიან პერიოდზე. შესაბამისად, მეოთხე სტანდარტის შეფასება არის ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჯავა დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის და რეფერირებაზე პასუხიმგებელი პირის საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ ჯვრის №5 საბავშვო ბაღში დასამებულია აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირად განსაზღვრულია აღმზრდელ-პერდაგოგი, რომელიც გადამზადებულია შესაბამისი მიმართულებით. რეფერირების საკითხებში ასევე ჩართულია აღმზრდელი და მეთოდისტი.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერესდა რეფერირების საკითხით და გაწერილი პროცედურებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ რეფერირებასთან დაკავშირებით პროცედურები გაწერილი და დამტკიცებულია, საჭიროების შემთხვევში პროცესში ჩაერთვება მულტიდისციპლინური გუნდი, შესაბამისი ორგანოები და კანონმდებლობის ფარგლებში მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. ბავშვის უფლებების ნებისმიერი დარღვევა დაუშვებელია.

საბჭოს წევრი ნინო ლაპარტყავა დაინტერესდა ბავშვზე დაკვირვების საკითხით და ბავშვის შეფასების ფორმებით.

კურიკულუმოს ექსპერტმა თამარ ლომიძემ განმარტა, რომ ვიზიტის დროს ადგილზე დახვდათ ძალიან კარგი, სრულყოფილი დოკუმენტი. წარმოდგენილ იქნა ბავშვის შეფასების ფორმები. მუნიციპალიტეტში არსებობს რეაბილიტაციის/აბილიტაციის ცენტრი და ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს აქვს წერილობითი მიმართვა და აღნიშნული ცენტრის თანხმობა ბავშვის შეფასების პროცესის მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:58
დასრულების დრო -12:11

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ჯვარის №5 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 12-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს (ქალაქ ჯვარის №5 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 12-ით.

საბჭომ ავტორიზაციის მეორე და მეოთხე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 10 დეკემბრისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან და მეოთხე სტანდარტის 4.3, 4.4 და 4.5 კომპონენტთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის არსებობა (შეფასება 4.3. 4.4 და 4.5 კომპონენტებთან მიმართებით დასკვნაში ასახული უნდა ყოფილიყო ,,მეტწილად შეესაბამება" ნაცვლად ,,არ შეესაბამება") და მეოთხე სტანდარის შეფასება ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

4. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.წალენჯიხის №3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით იყო დასაზუსტებელი საკითხები და რაც სხდომის მიმდინარეობის დროს განიხილებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიკა ანდღულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის№3 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 და 11 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 53. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 53 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიკა ანდღულაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი შეფასდა ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეოთხე სტანდარტი, დასკვნის შედგენის ეტაპზე 4.3. 4.4 და 4.5 კომპონენტის შეფასებიდან გამომდინარე შეფასდა როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და საკითხები, დამატებითი განხილვის მიზნით, დაზუსტდებოდა ზეპირი მოსმენის დროს.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საკითხის განხილვა მეოთხე სტანდარტის 4.3, 4.4 და 4.5 კომპონენტებთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ მეოთხე სტანდარტის 4.3 კომპონენტის შეუსაბამობის საკითხზე გათბობის სისტემასთან

დაკავშირებით ტენდერი უკვე ჩატარდა, მიმდინარეობს რეაბილიტაცია და 10 დღის ვადაში შეკეთებული იქნება გათბობის სიტემა, რაც შესაძლოა დადასტურდეს გათბობის სისტემის შეკეთების მიზნით დადებული შესყიდვის ხელშეკრულებით. 4.4 და 4.5 კომპონენტებთან დაკვაშვირებით კი აღნიშნა ტექნიკური ხარვეზის არსებობაზე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებით გათვალისწინებული საკითხები ერთი წლის ვადაში სრულად აღმოიფხვრება.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგების და ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობის საკითხებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დალი აბულაძემ განმარტა, რომ სამი ასაკობრივი ჯგუფით აპირებს ბაღი ფუნქციონირებას და სამივე ჯგუფში არის აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი და ყველა მათგანს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 12:31
დასრულების დრო -12:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.წალენჯიხის №3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 53-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს (ქ.წალენჯიხის №3 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 53-ით.

საბჭომ ავტორიზაციის მეორე და მეოთხე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 10 დეკემბრისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან და მეოთხე სტანდარტის 4.3, 4.4 და 4.5 კომპონენტთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის არსებობა და მეოთხე სტანდარის შეფასება ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
საბჭომ, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს, განუსაზღვრა ვალდებულება, არაუგიანეს 2026 წლის 31 იანვრისა, წარადგინოს გათბობის სისტემის შეკეთებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

5. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო დასაზუსტებელი საკითხები, რაც სხდომის მიმდინარეობის დროს განიხილებოდა.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაგდა ბარამაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაგდა ბარამაძემ პრეზენტაციის დასაწყისშივე აღნიშნა დასკვნაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზებზე ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებებთან დაკავშირებით.

აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტატუსის მაძიებელს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახულ ყველა ხარვეზთან დაკავშირებით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე აღებული აქვს ვალდებულებების შესრულება ერთლიან და ორწლიან პერიოდზე გათვლით, აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნაში, კომპონენტების შეფასებებიდან გამომდინარე, პირველი და მეორე სტანდარტის შეფასებად უნდა განისაზღვროს ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ნაცვლად შეფასებისა ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტის შეფასება უნდა განისაზღვროს ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ნაცვლად შეფასებისა ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", მეოთხე სტანდარტთან დაკავშრებით არსებული ორი მონიშვნიდან, შეფასებად უნდა აისახოს ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტმა მაგდა ბარამაძემ, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით, აღნიშნა ეზოს სივრცეში განთავსებული ამფითეატრი.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საკითხის დაზუსტება სტანდარტების შეფასების ნაწილში დასკვნაში არსებულ ტენიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით და როგორც პრეზენტაციის დროს აღინიშნა, დასკვნაში, სტანდარტების შეფასებები პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით უნდა იყოს ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტთან მიმართებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და მეოთხე სტანდარტის შეფასება ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ განმარტება გააკეთა დასკვნაში ასახულ ტერმინზე ,,ლოგოპედი" და აღნიშნა, რომ ვალდებულებების შესრულების ნაწილში უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს მთავრობის 488-ე დადგენილებით განსაზღვრულ ,,მეტყველების თერაპევტის" სტატუსით პერსონალის შერჩევაზე.

საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილმა აღნიშნა თელავის მუნიციპლიტეში ბავშვთა გარე შეფასების საინტერესო პრაქტიკაზე ადრეული ინტერვენციის ცენტრების არსებობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით პერსონალის გადამზადების თემით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ აღნიშნა, რომ ეტაპოვრივად ტარდებოდა ტრენინგები, მიმდინარე ეტაპზეც დაგეგმილია თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის საგენტოში შემავალი ბაღების პერსონალის გადამზადება. დაგეგმილია აგრეთვე ბავშვთა უფლებების საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგებში მშობელთა ჩართულობაც.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა პერსონალის მიერ აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის გავლის საკითხით, ასევე შეფასების კითხვარებთან და ტრანზიციის საკიხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის გავლა ეტაპობრივად დაგეგმილია 2026 წლიდან. რაც შეეხება შეფასების კითხვარებს, კითხვარების ფორმები შედგენილია და დასამტკიცებელია, რაც შესრულდება. ტრანზიციის მიზნით ორკვირიანი პერიოდია განსაზღვრული, საწყის ეტაპზე მშობლების ჩართულობით, ბავშვების ბაღის გარემოსთან ადაპტაციის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერსდა რესურსების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ აქვთ რესურსების ჩამონათვალი, რის საფუძველზეც აცხადებენ ტენდერს და შესაბამის შესყიდვას ახორციელებენ. თუმცა აღნიშნული ჩამონათვალი ამ ეტაპზე დამტკიცებული სახით არ არის.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერსდა კვების თემით - ტომატ პასტას შემადგენლობაში სტანდარტით აკრძალული ნივთიერების შემცველობის საკითხით და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე ხარვეზის აღმოფხვრის ვადად 2026 წლის დეკემბერის განსაზღვრით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ ვადასთან დაკავშირებით ტექნიკური უზუსტობაა, აღნიშნული ხარვეზი აღმოჩენისთანავე, მომენტალურად აღმოიფხვრა და მომდევნო დღიდან აღნიშნული პროდუქტი ამოღებულ იქნა. დაგეგმილია ყველა რეკომენდაციის შესრულება დასკვანში ასახული ვადების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:38
დასრულების დრო -13:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 13 დეკემბრისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა სტანდარტების შეფასებებთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის არსებობა და პირველი და მეორე სტანდარტის შეფასება ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტის შეფასება ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეოთხე სტანდარტის შეფასების ორი მონიშვნიდან შეფასებად განისაზღვრა ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

6. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ქ. თელავის №2 ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო დასაზუსტებელი საკითხები, რაც სხდომის მიმდინარეობის დროს განიხილებოდა.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაგდა ბარამაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თელავის მუნიციპალიტეტის ქ.თელავის №2 ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 132. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ დაწესებულებას მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა აღნიშნა რომ, დაწესებულებას თავისუფლად შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 200 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაგდა ბარამაძემ პრეზენტაციის დასაწყისშივე აღნიშნა დასკვნაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზებზე პირველი და მეორე სტანდარტების შეფასების ნაწილში და დასკვნაში, კომპონენტების შეფასებებიდან გამომდინარე, პირველი და მეორე სტანდარტის შეფასებად უნდა განისაზღვროს ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ნაცვლად შეფასებისა

,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტი შეფასდა ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეოთხე სტანდარტი შეფასდა ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტმა მაგდა ბარამაძემ, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით აღნიშნა ეზოს სივრცეში განთავსებულ ამფითეატრი.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
საბჭოს თავმჯდომარემ ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საკითხის დაზუსტება სტანდარტების შეფასების ნაწილში დასკვნაში არსებულ ტენიკურ ხარვეზებთან მიმართებით და როგორც პრეზენტაციის დროს აღინიშნა, დასკვნაში პირველი და მეორე სტანდარტის შეფასება უნდა განისაზღვროს ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ნაცვლად შეფასებისა ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საკითხის დაზუსტებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა 175 ბავშვის მიღების, თუმცა საავტორიზაციო განაცხადში აღნიშნულია 132 ბავშვი.
საბჭოს წევრი მარინე ბაიდაური დაინტერესდა ფანჯრებთან დაკავშირებით ხარვეზის აღმოფხვრის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ იატაკიდან ფანჯრის რაფამდე მანძილი არ იყო სტანდარტის შესაბამისი და მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით საკითხის გადაწყვეტა განხორციელდება.
თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი ქართლელიშვილის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები შესრულდება და სტანდარტთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი, ბავშვების უსაფრთხოების დაცვის მიზნით კონსტრუქციის ცვლილება უახლოეს მომავალში განხორციელდება.
საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე დაინტერსდა აღმზრელების და ბავშვების თანაფარდობის საკიხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ მიმდინარე ეტაპზე არ ჰყავთ აღმზრდელ-პედაგოგები, რადგან პერსონალს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული არ აქვთ გავლილი. დასაქმებულია მხოლოდ აღმზრდელები და სტანდარტით განსაზღვრული თანაფარდობა დაცული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:19
დასრულების დრო -14:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ქ.თელავის №2 ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 132 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ქ.თელავის №2 ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 132-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 13 დეკემბრისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა სტანდარტების შეფასებებთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზის არსებობა და პირველი და მეორე სტანდარტის შეფასება ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ასევე გათვალისწინებულ იქნას თელავის მინუციპალიტეტის მერის მოადგილის მხრიდან ასახული ვალდებულება, ფანჯრის ღიობების სტანდართან შესაბამისობაში მოყვანის ნაწილში, მინიტორინგის ვადის გათვალისწინებით.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

7. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ვარდისუბნის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ თოიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თელავის მუნიციპალიტეტის ვარდისუბნის ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 115 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, თინათინ თოიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფ ასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა, ბავშვთა ზღვრულ რაოდენობათან დაკავშირებული საკითხით და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

ექსპერტმა თინათინ თოიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე დაწესებულება სრულად, ყველანირი რესურსით როგორც ინფრასტუქტურით, ისე არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსით აკმაყოფილებს 115 ბავშვისთვის გასაწევი მომსახურების სტანდარტებს და ოთხი ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში, 115 ბავშვის მიმართ სააღმზრდლეო მომსახურების გაწევას თავისუფლად შეძლებს. რაც შეეხება პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღმზრდელის პოზიციაზე დამტკიცებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები უმაღლესი განათლების და აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის გავლის ვალდებულებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების წარმოდგენის ეტაპზე იყო ტექნიკური ხარვეზი ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით და მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 90-ისა უნდა იყოს 115.

საბჭოთ თავმჯდომარე, ეკეტრინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულებების სამუშო დროს ხანგრძლოვობის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ ბავშვების გარკვეული კატეგორისთვის აღზრდისა და განათლების მომსახურება 9:00 საათიდან 16:15 საათამდე პერიოდს მოიცავს, ე.წ გახანგრძლივებული დროთ, 18:00 საათამდე კი შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბავშვებმა მრვალშვილიანი ოჯახებიდან, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებმა, აგრეთვე ბავშვებმა რომელთა ერთი მშობელი მაინც მუშაობს. მხოლოდ ასეთ კატეგორიას აქვს ე.წ გახანგრძლივებული სერვისის 9:00 და 18:00 საათამდე მიღების შესაძლებლობა. ასევე თანამშრომლების დასაქმებასთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ **ა**(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი ბაღების ფარგლებში, ბავშვთა რაოდენობის ცვლილებიდან გამომდინარე, ხდება დასაქმებული პერსონალის სამუშაო ადგილის ცვლილება, ერთი ბაღიდან მეორეში გადაყვანა, რაც პროცედურულად ერთ ბაღთან ხელშეკრულების შეწყვეტით და მეორე ბაღთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებით ხორციელდება.
საბჭოს წევრი, რონა პერტია დაინტერსდა თანამშრომელთა შერჩევის წესით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ პერსონალის დასაქმება შესაძლებელია როგორც ერთპიროვნულად გასაუბრებით, ისე კონკურსით და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. თუმცა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი ბაღების ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობიდან გამომდინარე შიდა ადამიანური რესურსი საკმარისია და ახალი კადრების აყვანის საჭიროება არ არის.
საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ აღნიშნა, რომ ასეთი მიდგომა, მხოლოდ შიდა საკადრო გადაადგილება ზღუდავს სხვა პირების დასაქმების შესაძლებლობას, ზღუდავს კონკურენციას, არათანაბარ პირობებში აყენებს დასაქმების მსურველ სხვა პირებს. სასურველია კონკურსი გამოცხადდეს და საკრებულოს მიერ მიღებული რეგულაცია ამოქმედდეს. სხვებსაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა მინაწილეობა მიიღის კონკურსში და ჯანსაღი კონკურენციით წარიმართოს პროცესი სამართლიანობის, საჯაროობის, ხელმისაწვდომობის და კონკურენციის პირობების დაცვით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ დამატებით განმარტა, რომ კონკურსების არარსებობის შემთხვევაში, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ერთგვარად, მხოლოდ ფორმალურ სახეს შეინარჩუნებს.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით ბავშვთა უფლებების, ბავშვის განვითარების თავისებურებების საკითხებზე დაგეგმილი აქტივობებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ გადამზადება დაგეგმილია და განხორციელდება კვალიფიციური კადრების ჩართულობით. მზაობა მაღალია მშობლების ჩართულობის ნაწილში. აქტიურად ფუნქციონირებს საკონსულტაციო საბჭოები. თუმცა რიგი საკითხები აქტივობების მხრივ დოკუმენტალურად არ არის ასახული.
საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულების მიერ დეზინსექცია/დერატიზაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულების შესრულების სამთვიან პერიოდთან დაკავშირებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ვადა არ აღმოჩნდა საკმარისი მომწოდებლის შესარჩევად რომელიც ბავშვთა დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელებდა დეზინსექცია/დერატიზაციის მომსახურებას და აღნიშნული საკითხი, შესაძლებლობის ფარგლებში უმოკლეს ვადაში გადაიჭრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:10
დასრულების დრო - 15:21

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის ვარდისუბნის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის უნიციპალიტეტის ვარდისუბნის ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 13 დეკემბრისა. დაწესებულებას დაევალოს არაუგვიანეს 2026 წლის პირველი სექსტემბრისა წარმოადგინოს გაფორმებული ხელშეკრულება დაზინსეცია/დერატიზაციის სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა ტექნიკური ხარვეზის არსებობა ბავშვთა ადგილების რაოდებობასთან დაკავშირებით და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდებობა ნაცვლად 90-ისა განისაზღვრა 115-ით.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:

8. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ თოიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 58 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, თინათინ თოიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფ ასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა, ბავშვთა ზღვრულ რაოდენობათან დაკავშირებული საკითხით და კვებისთვის საკმარის ინვენტართან დაკავშირებით არსებულ ხარვეზზე.
ექსპერტმა თინათინ თოიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე დაწესებულება სრულად, ყველანირი რესურსით, როგორც ინფრასტუქტურით, ისე არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსით აკმაყოფილებს 58 ბავშვისთვის გასაწევი მომსახურების სტანდარტებს და ოთხი ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში, 58 ბავშვის მიმართ სააღმზრდლეო მომსახურების გაწევას თავისუფლად შეძლებს. ხარვეზი მოიცავდა ბავშვის ასაკის გათვალისწინებით შესაბამისი ზომის ჩანგლებთან დაკავშრებით შენიშვნას, დანარჩენ ნაწილში დაწესებულება სრული რესურსით აკმაყოფილებს 58 ბავშვისთვის გასაწევი მომსახურების სტანდარტებს.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ აღნიშნა, რომ თვითსეფასების წარმოდგენის ეტაპზე იყო ტექნიკური ხარვეზი ბავშვთა რაოდენობასთან დაკავშირებით და მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 45-ისა უნდა იყოს 58.
საბჭის თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა საათობრივი განრიგის მოწერიგების შემდეგ, როცა სრული 9 საათიანი მომსახურების მიწოდება განხორციელდება, დამატებითი პერსონალის საჭიროებასთან დაკავშირებული მიდგომით პერსონალის შერჩევის ნაწილში და აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსთან დაკავშირებული საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ გამოცხადდება ღია კონკურსი პერსონალის შერჩევის მიზნით. რაც შეეხება აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციის შემოღებას, ამ საკითხზე დაგეგმილია და მიმიდნარეობს მუშაობა თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად.
საბჭოს თავლჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ინკლუზიის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, თამარ მაისურაძემ განმარტა, რომ არის მზაობა და ინდივიდუალური მიდგომებით იხელმძღვანელებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. აქტიური თანამშრომლობაა კახეთის სამხარეო განვითრების ცენტრთან, აღმზრდელები და თანაშემწეები გადამზადებულია ინკლუზიური განათლების ტრენინგებით, აქვთ შესაბამისი სერტიფიკატები. მნიშვენლოვანია და გათვალისწინებული იქნება მშობელთა ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:43
დასრულების დრო - 15:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 58-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 58-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით, განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 13 დეკემბრისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა ტექნიკური ხარვეზის არსებობა ბავშვთა ადგილების რაოდენობასთან დაკავშირებით და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 45-ისა განისაზღვრა 58-ით.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 15:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე